№05-3/24 „11*“ აპრილი 2024წ.

ტექნიკური დასკვნა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა №17-ში, ს/კ: 01.72.14.035.310, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ზეგავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ასმათის ქუჩა №17-ში (ს/კ: №01.72.14.035.310), შ.პ.ს. „ბილდარტ დეველოპმენტს“ (ს/კ: 405260774) თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში ℓ×b=22,55×20.50 მ. სართულშორის გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (მონოლითური რიგელები) ფილები, ხოლო შენობის საძირკველს წარმოადგენს მთლიანკვეთიანი ფილა.

მოსაზღვრე ნაკვეთები

ჩრდილოეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს/კ: 01.72.14.035.309, მასზე 20 მ.-ის მანძილზე რაიმე ტიპის შენობა- ნაგებობა განთავსებული არ არის.

აღმოსავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს/კ: 01.72.14.035.803, მასზე განთავსებულია ათ სართულიანი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო შენობის საძირკველსა და არსებული შენობის საძირკველს შორის მინიმალური მანძილი შეადგენს 1.60 მ.-ს.

სამხრეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ასმათის ქუჩა, საპროექტო შენობის საძირკველსა და ასმათის ქუჩის საავტომობილო გზას შორის მინიმალური მანძილი შეადგენს 8.30 მ.-ს.

დასავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება თინათინის ქუჩა, საპროექტო შენობის საძირკველსა და თინათინის ქუჩის საფეხმავლო ბილიკს შორის მინიმალური მანძილი შეადგენს 2.80 მ.-ს. საპროექტო შენობის

მშენებლობისათვის დასამუშავებელი ქვაბულის კიდეები უშუალოდ უახლოვდება აღმოსავლეთით მოსაზღვრე ნაკვეთს (ს/კ: 01.72.14.035.803) და მასზე განთავსებულ ათ სართულიან საცხოვრებელ სახლს. იმისათვის, რომ მოცემული მიმართულებით მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ზემოაღნიშნული შენობის და ქვაბულის ფერდების მზიდუნარიანობა და უსაფრთხოება, პროექტის ავტორების მიერ დამუშავებულია ქვაბულის გამაგრების პროექტი (თან ერთვის ტექნიკურ დასკვნას), რომელიც გულისხმობს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების მოწყობას დიამეტრით 15სმ. ხიმინჯების გეომეტრიულ ცენტრებს შორის მანძილი მიღებულია 80სმ. ხიმინჯების საორიენტაციო სიგრძე 300სმ.-ია. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას. რაც შეეხება დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებებს. რადგანაც ქვაბულსა და ამ მხარეების მიმდებარე გზებს შორის მანძილები საკმაოა იმისათვის, რომ ქვაბულის ფერდები დამუშავდეს სათანადო ქანობით, ამიტომ რაიმე სახის უარყოფით მოვლენებს (ფერდის ჩამონგრევა) ადგილი არ ექნება.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, ასმათის ქუჩა №17-ში (ს/კ: №01.72.14.035.310), შ.პ.ს. „ბილდარტ დეველოპმენტი “-ს მიერ თავის კუთვნილ ტერიტორიაზე დამუშავებული პროექტის მიხედვით მშენებლობის წარმოება შესაძლებელია.

იმისათვის, რომ ნულოვანი ციკლის მოწყობისას სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ არ გამოიწვიოს უარყოფითი ტექნიკური ზეგავლენა აღმოსავლეთით, მომიჯნავედ მდებარე ათ სართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის (ს/კ№01.72.14.035.803), პროექტით გათვალისწინებულია ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯებისაგან მოწყობილი ე.წ. „ფარდა“, რომლის მუშაობა აპრობირებულია წლების განმავლობაში სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებისათვიას. ასევე სამხრეთი და დასავლეთი მხარეების მიმართულებით არსებული გზების დასაცავად გათვალისწინებულია ქვაბულის ფერდები დამუშავდეს სათანადო ქანობით, რაც დაიცავს მათ დეფორმაციებისაგან.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ. ქიქავა/